

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12 2015 წლის 16 აპრილი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 05 დეკემბრის №56 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 05 დეკემბრის №56 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/12/2014; 190020020.35.144.016190) „ქარელის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები.

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტიური	2014 წლის ფაქტიური			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11 355,6	12154.48	3693.83	8460.65	11328.0	3859.6	7468.4
გადასახადები	489,2	781.65	0.0	781.65	448	0.0	448
გრანტები	9 789,1	9954.93	3693.83	6261.10	10249.6	3859.6	6390
სხვა შემოსავლები	1 077,2	1417.9	0.0	1417.9	630.4	0.0	630.4
ხარჯები	6663,4	7455.34	1312.16	6143.17	7458.46	107.8	7350.6
შრომის ანაზღაურება	2 460,2	2132.62	0.0	2132.62	2021.7	0.0	2021.7
საქონელი და მომსახურება	991	1139.07	10,75	1128.32	1441.6	248.0	1441.6
სუბსიდიები	1 363,1	1554.34	0.0	1554.34	2110.6	0.0	2110.6



გრანტები	0,0	0.0			310.3	0.0	310.3
სოციალური უზრუნველყოფა	1 190,5	1316.6	646.6	670	606.5	0.0	606.5
სხვა ხარჯები	658,6	1312.71	654.81	657.89	967.8	107.8	860
საოპერაციო სალდო	4692,1	4699.14	2381.66	2317.48	3869.5	3751.8	117.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3647,4	2992.75	2296.98	695.77	7390.2	4993.9	2396.3
ზრდა	3673,5	3025.74	2296.98	728.75	7390.2	4993.9	2396.3
კლება	26,1	32.99	0.00	32.99	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	1 044,8	1706.39	84.68	1621.71	-3520.7	-1242.1	-2278.6
ვალუტა და დეპოზიტები	1 141,3	1706.39	84.68.0	1621.71	0.0	0.0	0.0
ზრდა	1 141,3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	96,5	0	0		0.0	0.0	0.0
კლება	96,5				3520.7	1242.1	2278.6
ვალდებულების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013	2014 წლის ფაქტიური			2015 წლის გეგმა		
	ფაქტიური	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11 381,6	12187.46	3693.8	8493.64	11327.9	3859.6	7.468.3
შემოსავლები	11 355,5	12154.5	3693.8	8460.7	11327.9	3859.6	7.468.3



არაფინანსური აქტივების კლება	26.1	33.0	0.0	33.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	10 336,8	10481.1	3609.1	6871.9	14848.65	5101.7	9746.95
ხარჯები	6663,4	7455.33	1312.16	6143.17	7458.46	107.81	7350.65
არაფინანსური აქტივების ზრდა	3673,5	3025.7	2297.0	728.7	7390.19	4993.88	2396.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	1 044,8	1706.4	84.7	1621.7	-3520.7	-1242.1	-2278.6

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11328.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტიური	2014 წლის ფაქტიური			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11 355,5	12154.5	3693.8	8460.7	11328.0	3859.6	7468.4
გადასახადები	489,2	781.65	0.0	781.65	448	0.0	448
გრანტები	9 789,1	9954.9	3693.8	6261.1	10249.6	3859.6	6390
სხვა შემოსავლები	1 077,2	1417.9	0.0	1417.9	630.4	0.0	630.4

დ) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10249.6 ათასი ლარის ოდენობით



დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტიური			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	9789.1	9954.9	3693.8	6261.1	10249.6	3859.6	6390.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9789.1	9954.9	3693.8	6261.1	10249.6	3859.6	6390.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5280.0	6261.1	0.0	6261.1	6390.0	0.0	6390.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5075.0	6048.1	0.0	6048.1	6177.0	0.0	6177.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	205.0	213.0	0.0	213.0	213.0	0.0	213.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4509.1	3693.8	3693.8	0.0	3859.6	3859.6	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა.	2908.7	2023.6	2023.6	0.0	2824.3	2824.3	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1041.4	1023.7	1023.7	0.0	1035.3	1035.3	0.0
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა							
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	559	646.6	646.6	0.0	0.0	0.0	0.0

ე) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7458.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2014 წლის ფაქტიური		2015 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის



დასახელება	2013 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
			საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები			
ხარჯები	6663,4	7455.34	1312.17	6143.17	7458.46	107.8	7350.65
შრომის ანაზღაურება	2460,2	2132.62	0.0	2132.62	2021.7	0.0	2021.7
საკონელი და მომსახურება	991,0	1139.07	10,75	1128.32	1441.6	0.0	1441.6
სუბსიდიები	1363,1	1554.34	0.0	1554.34	2110.6	0.0	2110.6
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	310.3	0.0	310.3
სოციალური უზრუნველყოფა	1190,5	1316.6	646.6	670	606.5	0.0	606.5
სხვა ხარჯები	658,6	1312.71	654.81	657.89	967.8	107.9	859.9

ვ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7390,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7390,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2013 წ. ფაქტი	2014 წ. ფაქტი	2015 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	72,3	100.4	426.62
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის და უსაფრთხოება	0,0	3.10	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3523,5	2909.6	6291.3
04 00	განათლება	0,0	0,0	400.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	77.7	12.7	271,6
სულ ჯამი		3673.5	3025.7	7390,2

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,00 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2013 ფაქტიური	2014 წლის ფაქტიური	2015 წლის გეგმა
------------	---------------	--------------------	-----------------



არაფინანსური აქტივების კლება	26,1	32,99	0,0
ძირითადი აქტივები	0,0	11,3	0,0
არაწარმოებული აქტივები	26,1	21,7	0,0
მიწა	26,1	21,7	0,0

ზ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2013 ფაქტიური	2014 ფაქტიური	2015 გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2795,1	2474,2	2981,4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2795,1	2474,2	2961,4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2795,1	2474,2	2901,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	60,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	20
702	თავდაცვა	118,8	122,1	129,6
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	299,3	319,7	315,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	299,3	319,7	315,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2742,4	1779,6	5197,1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	81,9	666,9	1419,3
70421	სოფლის მეურნეობა	81,9	666,9	1419,3
7045	ტრანსპორტი	2660,5	1112,7	3777,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2660,5	1112,7	3777,9



705	გარემოს დაცვა	371,3	654	1026,7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	277,4	457.4	512
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	93,9	196.7	514.7
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1302,2	1679.6	1268.3
7061	ბინათმშენებლობა	14.8	10.7	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	6,9	2.0	15
7063	წყალმომარაგება	328,5	524	200
7064	გარე განათება	200,4	172.7	170
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	751,6	970.3	883.3
707	ჯანმრთელობის დაცვა	74.0	80.0	80
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	74.0	80.0	80
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	810,9	752.4	1198.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	220,8	244.9	564.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	455,3	399.5	533.8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	135,0	108	100
709	განათლება	689,0	1350.1	1981,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	668,3	1331,6	1959,8
7092	ზოგადი განათლება	1,7	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1,7	0.0	0.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	19,0	18.5	22
710	სოციალური დაცვა	1133,8	1269.4	670
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	44,2	50.0	60
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	413,7	506	520
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	675,9	713.3	90
	სულ	10 336,8	10481.1	14848.6



თ) დადგენილების 17-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, ასევე პროგრამის ფარგლებში - 17 წლამდე ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა, ყოველი წლის გაზაფხულზე - მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რეზერვისტთა გადამოწმება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

2015 წლის 20 იანვრის საქართველოს მთავრობის №39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 2 824 314 ლარი - ქარელის მუნიციპალიტეტში ყინვისი-გვერძინეთის გზის (2 300 000 ლარი) და სოფ. დირბში მისასვლელი გზის (542 314 ლარი) ასფალტირების სამუშაოების ჩასატარებლად.

რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოასფალტდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რომელიც ემსახურება ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს. ქარელის მუნიციპალიტეტის ყინვისი-გვერძინეთის 8 კმ-იანი საავტომობილო გზა ადგილობრივი მნიშვნელობისაა, რომელიც 13 სოფლის 2500 მცხოვრებს აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტებთან, საკოლმეურნეო ბაზართან. ამავე დროს ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ათეულობით ტურისტული ობიექტები.

გზას რამდენიმე ათეული წელი არ ჩატარებია რეაბილიტაცია, გადაადგილება უჭირს როგორც სატრანსპორტო საშუალებებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს, სავალ ნაწილზე გაჩენილია ორმოები, მხოლოდ მცირე ნაწილზეა შემორჩენილი (ფრაგმენტებად) ასფალტბეტონის საფარი. სოფლების მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვს გზის გაკეთებას.

აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ 13 სოფლის მოსახლეობას გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. 2500-მდე მოსახლეს გაუადვილდება გადაადგილება, მოსავლის (მარცვლეული კულტურები, ხილი, ბოსტნეული და ა.შ.) დაბინავება, საკოლმეურნეო ბაზარზე მისვლა და თავისი პროდუქციის გაყიდვა, მოსახლეობა მარტივად და სწრაფად შეძლებს სხვადასხვა სერვისების მიღებას. ამ გზით ბავშვები უფრო მარტივად ივლიან სკოლაში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში. გაიზრდება როგორც შიდა ასევე გარე ტურისტების ნაკადი ამ ტერიტორიაზე არსებულ 20-მდე ტურისტულ



ობიექტთან.

პროექტს გააჩნია მაღალი როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური ეფექტი. პროექტის განხორციელება არ ახდენს გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას. აღნიშნული პროექტი მდგრადია, რადგანაც მის მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ქარელის მუნიციპალიტეტი.

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. დირბში მისასვლელი 2 კმ-იანი გზა ადგილობრივი მნიშვნელობისაა, რომელიც ემსახურება ქარელის მუნიციპალიტეტის ერთერთ დიდ სოფელს, რომელშიც ცხოვრობს 3019 ადამიანი, ასევე მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მოსახლეობის დიდ ნაწილსაც. აღნიშნული გზა მოსახლეობას აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტებთან, საკოლმეურნეო ბაზართან.

პროექტის მიზანია სოფ. დირბში მისასვლელი 2 კმ. სიგრძის ქუჩების რეაბილიტაცია.

აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ სოფ. დირბის მოსახლეობას გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. 3019 მოსახლეს გაუადვილდება გადაადგილება, მოსახლეობა მარტივად და სწრაფად შეძლებს სხვადასხვა სერვისების მიღებას. ამ გზით ბავშვები უფრო მარტივად ივლიან სკოლაში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

პროექტს გააჩნია მაღალი სოციალური ეფექტი. პროექტის განხორციელება არ ახდენს გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას. აღნიშნული პროექტი მდგრადია, რადგანაც მის მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ქარელის მუნიციპალიტეტი.

„შოთას წყარომდე“ მისასვლელი საავტომობილო გზა (3.6 კმ) ადგილობრივი მნიშვნელობისაა, რომელიც 1000 მცხოვრებს აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტებთან, საკოლმეურნეო ბაზართან. ამავ დროს ეს გზა ემსახურება დასასვენებელ ადგილს „შოთას წყარო“-ს.

გზას რამდენიმე ათეული წელი არ ჩატარებია რეაბილიტაცია, გადაადგილება უჭირს როგორც სატრანსპორტო საშუალებებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს, სავალ ნაწილზე გაჩენილია ორმოები, მხოლოდ მცირე ნაწილზეა შემორჩენილი (ფრაგმენტებად) ასფალტბეტონის საფარი. სოფლების მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვს გზის გაკეთებას.

აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. სოფლის 1000 მცხოვრებელს გაუადვილდება გადაადგილება, მოსავლის (მარცვლეული კულტურები, ხილი, ბოსტნეული და ა.შ.) დაბინავება, საკოლმეურნეო ბაზარზე მისვლა და თავისი პროდუქციის გაყიდვა, მოსახლეობა მარტივად და სწრაფად შეძლებს სხვადასხვა სერვისის მიღებას. ამ გზით ბავშვები უფრო მარტივად ივლიან სკოლაში, სკოლამდელ დაწესებულებებში.

პროექტს გააჩნია მაღალი სოციალური ეფექტი. პროექტის განხორციელება არ ახდენს გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას. აღნიშნული პროექტი მდგრადია, რადგანაც მის მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ქარელის მუნიციპალიტეტი.

მოსახლეობას აკავშირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტებთან, საკოლმეურნეო ბაზართან. გზების პრობლემა აწუხებს როგორც სატრანსპორტო საშუალებების მესატრონეებს, ისე ქვეითად მოსიარულეებს, სავალ ნაწილზე გაჩენილია ორმოები, მოსახლეობა დიდი ხანია ითხოვს გზის გაკეთებას. განსაკუთრებით რთულია გადაადგილება ზამთრის პერიოდში.

პროგრამის მიზანია ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. გაადვილდება გადაადგილება, მოსახლეობა მარტივად და სწრაფად შეძლებს სხვადასხვა სერვისების მიღებას. აღნიშნული პროექტი მდგრადია, რადგანაც რეაბილიტაციის შემდგომ, გზების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ქარელის მუნიციპალიტეტი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია



(პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მისი საექსპლოატაციო ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მოეწოება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება საკანალიზაციო და წყლის სისტემებს, დაფინანსდება სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოებში: ქარელი, აგარა, ქვენატკოცა, ბებნისი, ზემო ხვედურეთი, ქვემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, რუისი, ურბნისი, მოხისი, ბრეთი, ბრეთის მეურნეობა, დირბი, ფცა.

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის შემდეგი ტერიტორიებიდან : ქარელი, აგარა, ქვენატკოცა, ბებნისი, ზემო ხვედურეთი, ქვემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, ქობესაანთუბანი, თათანაანთუბანი, სამწევრისი, რუისი, ურბნისი, დირბი, მოხისი, ახალსოფელი, ბრეთი, სალოლაშენი, არადეთი, წვერი, სასირეთი, ბრეთის მეურნეობა, ძლევიჯვარი, ყინწვისი, ახალსოფლის და მოხისის დევნილთა ჩასახლებების მოსახლეობიდან ნარჩენების გატანის და ქუჩების დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები.

ბ.გ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქარელში და აგარაში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტის განხორციელება მოსახლეობას გადაუჭრის წლების განმავლობაში არსებულ საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებულ მძიმე პრობლემებს. დ. აგარის და ქარელის დარჩენილი ნაწილის საკანალიზაციო ქსელის მოწყობით დასრულდება მთლიანად ქარელის და აგარის საკანალიზაციო სისტემით დაქსელვა. აღნიშნული სამუშაოები გააუმჯობესებს სავარაუდოდ 2500 მაცხოვრებლის სოციალურ პირობებს.

ბ.დ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ არსებობს სასმელი წყლის პრობლემები. მოძველებულია და მწყობრიდანაა გამოსული სასმელი წყლის შემკრები აუზები და შიდა გაყვანილობები. ქვეპროგრამის ფარგლებში 2015 წელს იგეგმება სოფ. ჭვრინისში გეოლოგიური კვლევა, სათავე ნაგებობის, წყალშემკრები ავზის და წყალსადენის სისტემის მოწყობა, რაც გააუმჯობესებს საზღვრისპირა სოფლის 210 მოსახლის ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პირობებს.

ბ.ე) საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების და მიწების ელექტრონული ნახაზებისა და საკადასტრო გეგმების მომზადება.

ბ.ვ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქარელის მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ არსებობს სარწყავი წყლის პრობლემა, ხშირად საჭირო ხდება შიდა სარწყავი არხებისა და მდინარეების კალაპოტების გაწმენდა. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე არსებული შიდა ირიგაციის სისტემების სარეაბილიტაციო და მოვლა-შენახვის სამუშაოები შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოებში : აგარა, ქარელი, ბრეთი, დირბი, რუისი, ურბნისი, ზემო ხვედურეთი, ფცა, ბრეთი, აბისი, ახალსოფელი, მოხისი, დვანი, გიგანტი, ბრემა, ავლევი, ზღუდერი - შემავალ შიდა არხებზე, რაც საშუალებას მისცემს



სოფლის მოსახლეობას გაზარდონ საკუთარი შრომის ნაყოფიერება. აღნიშნული პროექტით მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული შიდა არხების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რითაც ისარგებლებს დაახლოებით 53 636 ბენეფიციარი;

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მოსახლეობის დასვენების და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით 2015 წელს იგეგმება ქარელის მუნიციპალიტეტში გამწვანების სამუშაოები, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ხეების დარგვა და შადრევნის მოვლა-შენახვა და ქარელში მუსხელიშვილის ქუჩაზე სკვერის და მინი სტადიონის მოწყობა, რაც მოემსახურება ქარელის 8650 მოსახლეს.

გ.ა) გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერების, შადრევნებისა და პარკების მოვლა ქარელში, დ. აგარაში და სოფ. რუისში. მოხდება ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ხეების მოვლა (გადაბეღვა, მოჭრა).

გ.ბ) ქუჩების, შენობების, ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება სტადიონის და სკვერის მოწყობა.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 05)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 035 269 ლარი ქარელის მუნიციპალიტეტში შემავალ 73 სოფელში არსებული სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული პროექტები მოიცავს სასმელი წყლის, შიდა გზების, სარიტუალო დარბაზების და სხვა სოციალურ-კულტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციას.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ადამიანის სწორი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა სკოლამდელი აღზრდა. ქარელის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 980-ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები და დაგეგმილია აღნიშნული საბავშვო ბაღების დიდი ნაწილის სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

ა) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით, მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, სოფ. ბრემასა და აბისში ადმინისტრაციულ შენობებში იგეგმება ახალი საბავშვო ბაღების გახსნა. აღნიშნულ ბაღების სავარაუდო ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 400 ბავშვს, აღნიშნული ბაღები მოემსახურება 5000 მოსახლეს, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტით იგეგმება ქვენატკოცის წვერის, მოხისის, აგარის, ბებნისის, რუისის, №1, №2 და №3, კეხიჯვრის საბავშვო ბაღების დარჩენილი სარემონტო სამუშაოების და შემოღობვის სამუშაოების განხორციელება და აღნიშნული ბაღები მოემსახურება 28 357 მოსახლეს.

ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს, ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მისცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქარგვის, ხალიჩების ქსოვის, თექაზე მუშაობის, კულინარიის და სხვადასხვა



მუსიკალურ ინტრუმენტებზე დაკვრის, მხატვრული კითხვის შემსწავლელი კურსები. მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება, შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ახალგაზრდობში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია: სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში; მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე; მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მომზადებისათვის სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2015 წლის განმავლობაში, ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. 2015 წლის განმავლობაში 586 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ძიუდოს, სამბოს, ქართული ჭიდაობის სექციები, სადაც 416 ბავშვთან მუშაობს 17 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე ფეხბურთის სექცია, სადაც 109 ბავშვთან მუშაობს 4 მწვრთნელი. განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევა ჭადრაკის სექცია, სადაც გაერთიანებულია 23 ბავშვი და 1 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე კრივის და ხელბურთის სექცია, სადაც გაერთიანებულია 38 ბავშვი და 2 მწვრთნელი.

იგეგმება სოფ. რუისში 100000 ლარის ფარგლებში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში - სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის კულტურული და გასართობი ღონისძიებების მოწყობა. სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული შემოქმედებითი კოლექტივების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სახის კულტურული ღონისძიების მოწყობა:

- ქალთა და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. შეხვედრა შედგება მრავალშვილიან დედებთან;
- 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი რექვიემი;



- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა;
- 9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება: შეხვედრა ომის ვეტერანებთან;
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება;
- პოეზიის საღამო;
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ღვაწლმოსილი კულტურის მუშაკების დაჯილდოება, ღონისძიების მოწყობა;
- 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- კონცერტი მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით;

ადგილობრივი ტურიზმის პოპულარიზაცია:

- საეკლესიო და ხალხური საგალობლების ფესტივალი;
- ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა;
- პრესტური – ჟურნალისტებისა და ტურისტული კომპანიებისათვის საინფორმაციო ტურის მოწყობა ქარელის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავ ადგილებში;
- საახალწლო ღონისძიებების კვირეული;
- რეგიონალური, რესპუბლიკური და საერთაშორისო ღონისძიებებში შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობა;
- პერსონალური გამოფენების კვირეული მუნიციპალიტეტში მოღვაწე მხატვრების მონაწილეობით;
- ექსკურსია კონკურსებში გამარჯვებული ბავშვებისათვის;
- ქარელის დღეების მოწყობა;
- ზაზა ფანასკერტელის სახელობის ღონისძიების „ზაზაობის“ მოწყობა;
- სხვა ინიციატივები;

ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

